

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



დამტკიცებულია ცვლილებებით

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

გორი

2021 წელი

1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს. მასში მოცემულია ინფორმაცია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, სტანდარტები, პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს აკადემიაში განხორციელებული აკადემიური/სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

1.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია აკადემიის სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სტანდარტების, მექანიზმების და პროცედურების შესახებ, რათა ყველა დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს მათი ერთნაირი ინტერპრეტაცია და გაგება, უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის და პროცედურების გამჭვირვალობა, ღიაობა, სანდოობა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა, რაც თავის მხრივ ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია აკადემიისთვის, რადგან თავისი მისიის შესასრულებლად იგი ახორციელებს რა საგანმანათლებლო პროგრამებს, უნდა უზრუნველყოფდეს სწავლების და სწავლის მაღალ ხარისხს, რათა მოამზადოს მაღალი სტანდარტის ოფიცრები ქვეყნის სამსახურისთვის. ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები ზრდის მოთხოვნას მსმენელებისა და იუნკერების უნარებისა და კომპეტენციების მიმართ და მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას.

1.4. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აკადემიაში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების სისტემაში დადგენილი მოთხოვნებისა და საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მდგარი გამოწვევების

შესაბამისად. თავდაცვის სამინისტროს განათლების სისტემა, სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო პირთა სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოადგენს ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს, აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო). პროგრამებში გათვალისწინებულია სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების მიზეზს.

1.5. ოფიცერთა სამხედრო განათლების საფეხურებრივი სასწავლო პროგრამები იგეგმება და ხორციელდება საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნების შესაბამისად და მიზნად ისახავს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა განათლების მიღება/გაღრმავებას მათი სამსახურეობრივი მოვალეობის, სპეციფიკისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად.

1.6. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები, სტანდარტები, პროცედურები გამოიყენება როგორც პირისპირ, ისე ელექტრონული სწავლების დროს.

2. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

2.1. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფას აქვს შემდეგი მიზნები:

- სწავლების, სწავლის, კვლევის და მართვის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- იუნკერების, მსმენელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების და ინსტრუქტორების (შემდგომში პედაგოგების) შესაძლებლობების რეალიზება;
- სწავლების ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;
- განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ განხორციელებული აქტივობების საფუძველია ორი თანაბარმნიშვნელოვანი მიზანი: შეფასება/ანგარიშგება და განვითარება. წარმატებით მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს რა დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას საქმიანობის ხარისხის შესახებ (შეფასება/ანგარიშგება), ამავდროულად აწვდის მათ რჩევებს და რეკომენდაციებს, უტარებს კონსულტაციებს თუ როგორ შეიძლება დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესება (განვითარება). ამრიგად, ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის გაუმჯობესება ურთიერთდაკავშირებულია და ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები ხელს უწყობს დაწესებულების ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი: იუნკერები, მსმენელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები, ინსტრუქტორები, ხელმძღვანელი რგოლი და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინი „ხარისხის უზრუნველყოფა“ ასახავს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისაკენ მიმართულ განმეორებად განვითარებად ციკლს (ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს).

2.3. მეთოდი

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა PDCA ციკლს. PDCA ციკლი არის ოთხსაფეხურიანი მოდელი, რომელიც გამოიყენება პროცესებისა და პროდუქტების კონტროლის, ცვლილებების და უწყვეტი გაუმჯობესებისათვის: **plan** – დაგეგმე, **do** – განახორციელე, **check** – შეამოწმე, **act** – განავითარე.



საგანმანათლებლო კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების, ინსტრუქტორების მიერ სწავლების, შეფასების და კვლევის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღწევს ამას სასწავლო პროცესის შეფასებით/მონიტორინგით, რომლისთვისაც გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილი მექანიზმები. ხარისხის შეფასება ასევე ხორციელდება გარე შეფასების მექანიზმებით.

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება თვითკრიტიკული საზოგადოების იდეას, სადაც თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების პროცესებში.
- პედაგოგების თვითშეფასება ხელს უწყობს სწავლებასა და კვლევაში მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას მათი (პედაგოგების) აკადემიური დამოუკიდებლობის, თვითრეგულაციის და პირადი პასუხისმგებლობის გზით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მეშვეობით სასწავლო პროცესის და კვლევითი მუშაობის შეფასების მიზანი მათი საუკეთესო მისწრაფებების, სურვილების, მცდელობების მხარდაჭერა და განმტკიცებაა, რათა განვითარდეს და გაიზარდოს მათი არსებული ცოდნა და უნარ-ჩვევები და ამგვარად გაიუმჯობესონ სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შედეგები.

3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმებით.

3.1. ხარისხის (შიდა) უზრუნველყოფა

3.1.1. ხარისხის უზრუნველყოფას შიდა მექანიზმებით ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებული პირების ჩართულობით.

3.1.2. ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებებით, აკადემიის წესდებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით. ასევე სახელმძღვანელოდ იყენებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სახელმძღვანელოებს, აშშ-ის თავდაცვის ძალების საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისკენ მიმართულ დოქტრინებს, სხვა ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტანდარტებს; იზიარებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და რეკომენდაციებს (ESG) ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის.

3.1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და მოვალეობები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

3.1.4. ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის და მიზნების რეალიზაციის, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები აღწერილია (მაგრამ არ შემოიფარგლება) წინამდებარე დოკუმენტით. ხარისხის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვა მექანიზმების გამოყენება, რომლებიც შეთანხმებული იქნება რექტორთან, რექტორის მოადგილეებთან, აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან;

3.1.5. ხარისხის (შიდა) უზრუნველყოფის ძირითადი ფუნქციებია:


ა) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისი პერსონალის პროფესიული

განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე იუნკერები/მსმენელები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;

ბ) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებსა და მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირის დამყარება და თანამშრომლობა;

გ) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების მომზადება.

3.1.6. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფა მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:



3.1.7. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკადემიაში შემუშავებულია დოკუმენტი: „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“, რომელსაც დანართად ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის(კურიკულუმის) მომზადებისა და

წარმოდგენის ინსტრუქცია და სასწავლო კურსის სილაბუსის სარეკომენდაციო (უნიფიცირებული) ფორმა, და სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო დანართები:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა/კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები;
- სწავლება-სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენა ხდება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები“-ს შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის შემდგომ ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

3.1.8. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აკადემიის შტაბის G-3/G-2-ის სამსახურის სამოქალაქო/სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილება და საგამოცდო ცენტრი;

შტაბის G-3/G-2-ის სამსახურის სამოქალაქო/სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილება მისი ფუნქციების შესაბამისად:

- შეიმუშავებს გეგმა-კალენდარს აკადემიური პროგრამებისთვის და ითანხმებს სამხედრო სასწავლო კალენდარს;
- რესურსების, განხორციელების ადგილის, აქტივობების (მათ შორის გამოცდების, საველე გასვლების, პრაქტიკული მეცადინეობების) და პედაგოგების/ინსტრუქტორების დატვირთვის სხვა პროგრამების დამტკიცებულ გეგმა-კალენდართან გადაფარვის არსებობის შემთხვევაში, შტაბის G-3/G-2-ის სამსახურის სამოქალაქო/სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილება მოითხოვს დასამტკიცებლად

წარმოდგენილ გეგმა-კალენდარში ან მეცადინეობის ცხრილში ცვლილებების შეტანას მის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე.

- ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის კონტროლს;
- კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებას და ახდენს იუნკერთა/მსმენელთა შეფასებების ანალიზს;
- ახორციელებს დიპლომების, დიპლომის დანართების, სერტიფიკატებისა და აკადემიური მოსწრების ცნობის მომზადებას;
- აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა წლიური ან სემესტრული დავითვების კონტროლისთვის, უფლებამოსილია მოითხოვოს მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის და ანგარიშის წარდგენა;
- აკადემიის ლაბორატორიების მუშაობის მონიტორინგისთვის უფლებამოსილია მოითხოვოს მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის და ანგარიშის წარდგენა;

საგამოცდო ცენტრი:

მაგისტრატურის/ბაკალავრიატის/უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად უზრუნველყოფს საგამოცდო შეკითხვების ბანკისა და სხვა საგამოცდო მასალების ჩამოყალიბებას და მის ჩატვირთვას საგამოცდო მონაცემთა ბაზაში;

უზრუნველყოფს შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებას, ამზადებს საგამოცდო უწყისებს და აკადემიური მოსწრების კრებსით მონაცემებს;

ითვლის იუნკერთა/მსმენელთა რეიტინგს რისთვისაც უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი მონაცემების წარდგენა; ელექტრონული სწავლების ფორმატში საგამოცდო ცენტრი შეიმუშავებს შესაბამის რეგულაციებს, საჭიროების შემთხვევაში განხორციელებს შერეული/ჰიბრიდული სასწავლო კურსები.

3.1.9. მონიტორინგი და განვითარება

საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს სასწავლო და

კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების მექანიზმების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებისაკენ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებით სისტემატურად განხორციელებს აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს, შედეგად შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს, როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, ასევე, სწავლების ფორმების, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფისა და მათი სტრუქტურის დახვეწის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებისამებრ ატარებს შეხვედრებს, ტრენინგებს სწავლა/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების უფლებამოსილებას წარმოადგენს სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება, თუმცა ისინი მუდმივად საჭიროებენ განვითარებასა და სრულყოფას (ხარისხის (შიდა) უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რასაც ყველა მხარე აცნობიერებს); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკურ მონიტორინგსა და აკადემიურ ექსპერტიზას განხორციელებს ყოველ სასწავლო წელს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების/მექანიზმების გადახედვას, გაანალიზებას და საჭიროების შემთხვევაში უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწევს ონლაინ ფორმატში განხორციელებულ ლექცია/სემინარებს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, დადგენილი დისტანციური სწავლების წესის შესაბამისად.

3.1.10. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული

მხარეების მონაწილეობის მექანიზმი

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ დამსაქმებლები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები, სამხედრო ინსტრუქტორები), იუნკერები/მსმენელები, კურსდამთავრებულები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას პროგრამის განვითარების პროცესში.
- მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელებმა ასევე უნდა უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების მექანიზმების საშუალებით მიღებული შედეგები მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს საერთო სურათს და აჩვენებს შესაბამის მიმართულებებს, რათა უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და იუნკერთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება, რეკომენდაციები/ სურვილები პროგრამის განვითარების მიმართულებით.
- მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიის ხელმძღვანელ რგოლთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის გარე ექსპერტები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

3.1.11. საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების მექანიზმები

შეფასების მიზანია ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და არა ცუდი შედეგების (მოსწრების) გამოვლენას და მათ კონსტატაციას. შეფასებამ ბიძგი უნდა მისცეს პროგრესს, ის უნდა იძლეოდეს სასწავლო დაწესებულების მუშაობის

უკეთესობისკენ წარმართვის სურვილს და რწმენას. შეფასების ამგვარი სისტემა არ ითვალისწინებს არც წახალისებას, არც საჯარიმო სანქციებს. შეფასების მიზანი უპირველეს ყოვლისა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის/ მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა და მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელთა მხარდა-ჭერაა პროგრამის/ სასწავლო კურსების განხორციელების შედეგების შესახებ მრავალ-ფეროვანი, აქტუალური და სანდო ინფორმაციით უზრუნველყოფით. შეფასების შედეგები, ისევე როგორც ამ შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და მასალა ხელმი-საწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგ-მვა/განხორციელებისას. იგი აკადემიის საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში მისაღებ გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას და, რასაკვირველია, აქტიურად გამოიყენება თავად პედაგოგების მიერ სწავლის მეთოდების დახვეწის/ გაუმჯობესების მიზნით. ყოველივე ამას ერთადერთი მიზანი აქვს აკადემიაში განათლების ხარისხის ამაღლება.

3.1.12. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

- ა). საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია დამსაქმებლების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის/ მასწავლებლების/ ინსტრუქტორების მონაწილეობა, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (კურსდამთავრებულები, იუნკერები/მსმენელები) პროგრამის შეფასებაში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით აკადემიამ უნდა მიიღოს უკუკავშირი დასაქმების ბაზრისგან მათი პროგრამების შიგთავსის რელევანტურობასთან დაკავშირებით. ასეთი უკუკავშირი მიიღება კურსდამთავრებულთა და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგად.
- ბ). ხორციელდება უცხოელი ექსპერტების მიერ გარე ექსპერტიზა/ბენჩმარკინგი და აღნიშნული დასკვნები გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავებაში ან/და არსებული პროგრამის მოდიფიცირება/განვითარებაში;

გ). მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიის ხელმძღვანელ რგოლთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის გარე ექსპერტები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

3.1.13.გამოკითხვები

- პროგრამის განხორციელების შესაფასებლად, სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს და ატარებს იუნკერთა/ მსმენელთა, აკადემიური/ მოწვეული პერსონალის/ მასწავლებლის/ ინსტრუქტორთა გამოკითხვა/ინტერვიუებას.
- გამოკითხვა/ინტერვიუების საშუალებით შესაძლებელი ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირების იუნკერთა/ მსმენელთა, აკადემიური/ მოწვეული პერსონალის/ მასწავლებელთა/ ინსტრუქტორთა მოსაზრებების და შეფასებების, მოლოდინების კვლევა და პროგრამის განმახორციელებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.
- გამოკითხვა/ინტერვიუება როგორც წესი ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სემესტრში ერთხელ მაინც. აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე იუნკერთა გამოკითხვა/ინტერვიუება როგორც წესი ტარდება ყოველ სემესტრში მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაიზარდოს გამოკითხვათა რაოდენობა. გამოკითხვებს შორის უნდა იყოს გონივრული ვადა. გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა; გამოკითხვა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ელექტრონული კითხვარების (google forms) ფორმატში, ისე ILIAS -ის პლატფორმის გამოყენებით ან მატერიალური სახით, რის შემდეგაც, ხდება მონაცემების დამუშავება,
- ცხადია რომ, ვერც ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის

/ინსტრუქტორის მუშაობით სრულად კმაყოფილი ვერ იქნება ყველა იუნკერი/-მსმენელი და შესაძლებელია, რომ ცალკეულმა იუნკერმა/მსმენელმა პედაგოგის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსი შეაფასოს დაბალი ქულებით, ან დააფიქსიროს არაეთიკური კომენტარი. აკადემიისათვის მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია ცალკეული იუნკერის/მსმენელის, პიროვნების აზრი და მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააგრძელებენ გამოთქმული მოსაზრებების და შეფასებების შესწავლას და ანალიზს. ასევე ცხადია რომ, ერთეული იუნკერის/ მსმენელის მიერ დაფიქსირებული დაბალი შეფასება მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის პედაგოგის შეფასებას (აქ საშუალო ქულობრივ შეფასებას) მაშინ, როდესაც დანარჩენი იუნკერები/მსმენელები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/მასწავლებელს/ინსტრუქტორს მაღალი ქულებით აფასებენ. ვინაიდან, საშუალო ქულობრივი შეფასება გამოითვლება ყველა იუნკერის/მსმენელის მიერ დაფიქსირებული შეფასებების ჯამი გაყოფილი გამოკითხულთა რაოდენობაზე. მაგრამ როდესაც იუნკერების/მსმენელების დიდი ჯგუფი სასწავლო კურსს აფასებს დაბალი ქულებით და აფიქსირებს არაეთიკურ კომენტარებს, ცხადია, მათ შეფასებას გავლენა ექნება საშუალო ქულობრივ შეფასებაზე და ეს იქნება ძალიან საყურადღებო მინიშნება აკადემიური/მოწვეული პერსონალის/ინსტრუქტორისთვის და მაგისტრატურის/ბაკალავრიატის მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელისთვის, რომ ვითარება მყისიერ ჩარევას, ყურადღებას და რეაგირებას მოითხოვს.

- გამოკითხვა/ინტერვიუების შედეგების გაანალიზების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედეგებს, ანალიზს რეკომენდაციებთან ერთად მიაწვდის მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელებს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების უფროსებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც განსაზღვრავენ კვლევით გამოვლენილი საკითხის/ხარვეზების მიზეზებს და ადგენენ გაუმჯობესების მექანიზმებს.
- საჭიროებისას ეწყობა შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკითხ-

ვა/ინტერვიუების შედეგების ანალიზში დაფიქსირებული საკითხების განსახილველად და გამოვლენილი საკითხის/ხარვეზების მიზეზებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების გასაცნობად. შეხვედრის შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაციებმა შესაძლოა განიცადოს ცვლილება. რეკომენდაციების ცვლილების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეკომენდაციებს კვლავ უგზავნის ყველა დაინტერესებულ პირს შემდგომი რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვა/ინტერვიუების შედეგებს, ანალიზს რეკომენდაციებთან ერთად წარადგენს აკადემიურ საბჭოზე. შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ასევე უნდა წარადგინონ სამოქმედო გეგმა შემდგომი რეაგირებისთვის და გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

- ინფორმაცია გამოკითხვის შედეგების შესახებ ასევე ინდივიდუალურად ეგზავნებათ სასწავლო კურსების განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/მასწავლებლებს/ინსტრუქტორებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათთან შედეგების ინდივიდუალური განხილვა. აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა/მასწავლებლებმა/ინსტრუქტორებმა მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა გადმოუგზავნონ მათი მოსაზრება/უკუკავშირი მიღებული ინფორმაციის შესახებ და თუ რა ქმედებების განხორციელებას გეგმავენ სასწავლო კურსის და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- აკადემიის აკადემიური საბჭო კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას.
- აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

3.1.14. ინტერვიუება

იუნკერების/მსმენელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის მოთხოვნით ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ხელმძღვა-

ნელი რგოლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიგეგმოს იუნკერებთან/ მსმენელებთან ინტერვიუება, რომელიც ტარდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის დასწრების გარეშე.

ინტერვიუს შესაძლებელია ჰქონდეს შემდეგი სახე: ინტერვიუერი იუნკერებს/ მსმენელებს ჰყოფს მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა 10 წუთი წარმომადგენლის ასარჩევად, რომელიც ჩაიწერს მათ შეხედულებებს და მოსაზრებების შესათანხმებლად. ჯგუფებს ეთხოვებათ დააფიქსირონ მათი მოსაზრებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- დაასახელონ სასწავლო კურსის ის ფაქტორები და ასპექტები, რომლებმაც ხელი შეუწევს მათ სწავლას;
- დაასახელონ სასწავლო კურსის ფაქტორები და ასპექტები, რომლებმაც შეაფერხა მათი სწავლა და რომლებსაც ისურვებდნენ რომ შეიცვალოს;
- მათი მოსაზრებები, თუ როგორ არის შესაძლებელი სასწავლო კურსის გაუმჯობესება როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის, ასევე იუნკერების/მსმენელების მხრიდან;
- გამოყოფილი დროის შემდეგ ინტერვიუერი განიხილავს ჯგუფებთან მათ მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს და იწერს მათ. შეხვედრის შემდეგ ინტერვიუერი აჯამებს მიღებულ ინფორმაციას, გამოყოფს საკითხებს, რაშიც ყველა ჯგუფი მოდის ერთმანეთთან თანხმობაში და გამოყოფს მათ შორის არსებულ უთანხმოებებს. მიღებული ინფორმაცია მოგვიანებით მიეწოდება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/ მასწავლებელს/ ინსტრუქტორს ინდივიდუალური კონსულტაციით.

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის განვითარების მიზნით შესაძლებელია დაიგეგმოს იუნკერებთან/მსმენელებთან რექტორის, რექტორის მოადგილეების, შტაბის უფროსის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/სკოლის ხელმძღვანელის/მეთაურის, მიმართულებების/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების, ბატალიონის მეთაურის შეხვედრები.

3.1.15. სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

მონიტორინგი/დაკვირვება

სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი/დაკვირვება გულისხმობს სასწავლო პროცესზე უშუალო დაკვირვებას როგორც სააუდიტორიო, ისე ონლაინ მეცადინეობისას და დაკვირვების შემდეგ უკუკავშირის მიწოდებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებელთა, სამხედრო ინსტრუქტორთა შემადგენლობას მიუხედავად რანგისა და წოდებისა, საჭიროებისამებრ წელიწადში მინიმუმ ერთხელ უნდა უნიშნავდეს თავის სწავლების გადამმოწმებელს. მაღალკვალიფიციური და დახელოვნებული კოლეგისტვის (ჩვეულებრივ, დამკვირვებელთა ჯგუფის სიიდან) ჩვეული პროცედურაა სწავლების პროცესზე დასაკვირვებლად მიწვევა, კოლეგიალური შეფასება, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ინსტრუქციით: „აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე შეფასებისა და გამოცდების ჩატარების დებულება“.

დაკვირვების ჯგუფის 2 წევრი დაკვირვების მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით აფასებს მეცადინეობებს, ატარებს გამოკვლევას რეალურად მიმდინარე და სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული სასწავლო პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით.

დაკვირვების ჯგუფი მეცადინეობაზე დაკვირვების შემდეგ აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.

დაკვირვების ჯგუფის წევრი შესაძლებელია იყოს რექტორის მოადგილეები, ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/სკოლის ხელმძღვანელი/მეთაური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი, შტაბის G-3/G-2-ის სამსახურის სამოქალაქო/სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილების თანამშრომელი, მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი, აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და ინსტრუქტორები, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაკვირვების საკითხებში, იცნობენ დაკვირვების

პროცედურას და შეფასების კრიტერიუმებს. დაკვირვების ჯგუფის წევრი ასევე შესაძლებელია იყოს გარე უცხოელი ექსპერტი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი.

3.1.16. პრინციპები და პროცედურა

- სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიზანია აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა/მასწავლებლებმა/ინსტრუქტორებმა წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გამოავლინონ სწავლების ეფექტიანი უნარ-ჩვევები;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება უნდა ხორციელდებოდეს ღია, გამჭვირვალე და თანამშრომლობითი გზით;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხელს შეუწყობს წარმატებული პრაქტიკის გადაცემას გამოცდილების გაზიარების და მიზანმიმართული მხარდაჭერის გზით;
- ამ ტიპის შეფასებას წვლილი შეაქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, მაგრამ, როგორც წესი, არ გულისხმობს საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით ქულების დაგროვებას.
- ყველა სასწავლო კურსისთვის და სასწავლო კურსის განმახორციელებლისთვის (აკადემიური/ მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები/ინსტრუქტორები), საჭიროებისმებრ შემთხვევითი შერჩევის გზით ტარდება ორი დაკვირვება. იქ, სადაც დაფიქსირდება უარყოფითი შეფასება, უზრუნველყოფილი იქნება მხარდაჭერა და განხორციელდება შემდგომი დაკვირვება;
- დაკვირვების ჯგუფის ყველა წევრი გაივლის შესაბამის მომზადებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ გაკეთებული შეფასების საიმედოობა და უტყუარობა; ყველა პედაგოგი უზრუნველყოფილი იქნება უკუკავშირით;
- ყველა დაინტერესებული პირისთვის და ყველა პედაგოგისთვის ცნობილი იქნება დაკვირვების პროცესის ეტაპები და ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც ამ პროცესში გამოიყენება.
- აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია, რომ

დაგეგმილია მის მიერ ჩასატარებელ მეცადინეობებზე დაკვირვება.

- მეცადინეობაზე დაკვირვებას ჩაატარებს 2 დამკვირვებელი.
- მეცადინეობის დაწყებამდე იუნკერებს/მსმენელებს აცნობებენ, რომ ესწრებათ დამკვირვებლები, რომელთა ფუნქციაა სწავლების პროცესზე (და არა იუნკერებზე/მსმენელებზე) დაკვირვება.
- მეცადინეობის განმავლობაში დამკვირვებელი სტანდარტული ფორმით აკეთებს აღნიშვნებს და აწარმოებს ჩანაწერებს. დამკვირვებლები აღწერენ ნაწილის დადებით მხარეებს, სწავლების იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას და გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესება, იქნება ეს უშუალოდ მათზე ყურადღების გამახვილება თუ, კონკრეტული ქმედების განხორციელება.
- დაკვირვების ანგარიშს ხელს აწერს დამკვირვებელთა ჯგუფის ორივე წევრი და აბარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მისი ასლი ეგზავნება პედაგოგს, კონფიდენციალურობის სრული დაცვით.
- შესაძლებელია დაკვირვება მოხდეს პედაგოგის მოთხოვნით კონკრეტულ მეცადინეობაზე ან კონკრეტულ ჯგუფთან დასწრებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგს სჭირდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კვალიფიციური რჩევის ან მხარდაჭერის მიღება.
- დაკვირვების ანგარიში მიეწოდება შესაბამის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/მასწავლებლებს/ინსტრუქტორებს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებელი/ინსტრუქტორი გაეცნობა რა დაკვირვების ჯგუფის შეფასებას, საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს დაკვირვების უკუკავშირის წერილში. მას შეუძლია არ დაეთანხმოს დაკვირვების ჯგუფის მოსაზრებებს და წერილში მოიყვანოს მისი პოზიციის დამადასტურებელი ფაქტები. აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/მასწავლებელს/ინსტრუქტორს ასევე შეუძლია მოითხოვოს მეორე დაკვირვება თუ: პედაგოგი თვლის, რომ წინა მეცადინეობა, რომელზეც მიმდინარეობდა დაკვირვება არ ასახავს პედაგოგის ჩვეულ მეცადინეობის ჩატარების სტანდარტებს;
- პედაგოგი არ ეთანხმება დამკვირვებლების შეფასებებს.

ამ შემთხვევებში მოქმედებს შემდეგი პროცედურა:

შემთხვევა 1.

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებელი/ინსტრუქტორი მიზეზის მითითებით წერილობით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი დაკვირვების ჩატარების თაობაზე დაკვირვების ანგარიშის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს წერილობით მიმართვას და 3 სამუშაო დღის განმავლობაში დანიშნავს დამატებითი დაკვირვების თარიღს.
3. დამატებითი დაკვირვება განხორციელდება იგივე დამკვირვებლების მიერ და დამატებითი შეფასების ანგარიშს ექნება იგივე წონა, რაც წინა შეფასების ანგარიშს.

შემთხვევა 2.

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებელი/ინსტრუქტორი მიზეზის მითითებით წერილობით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი დაკვირვების ჩატარების თაობაზე დაკვირვების ანგარიშის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს წერილობით მიმართვას და 3 სამუშაო დღის განმავლობაში დანიშნავს დამატებითი დაკვირვების თარიღს.
 3. დამატებითი დაკვირვება განხორციელდება კვლავ ორი დამკვირვებლის მიერ. მათგან ერთი იქნება პირველი დაკვირვების ჯგუფის წევრი (შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული) და მეორე, ახალი დამკვირვებელი. მეორე, დამატებითი შეფასების ანგარიში იქნება საბოლოო შეფასება.
- მეცადინეობაზე დაკვირვების ანკეტის და კოლეგიალური შეფასების ოქმის წარმოდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უადრეს დაკვირვების ჩატარების/დაკვირვების ანგარიშის მიღების შემდეგი სამუშაო დღისა და არა უგვიანეს შემდეგი 5 სამუშაო დღისა.
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკვირვების ჯგუფების ანგარიშს და დაკვირვების უკუკავშირის წერილს გააცნობს რექტორს, რექტორის მოადგილეებს,

შტაბის G3/G2-ის სამსახურის სამოქალაქო/სამხედრო მიმართულების სასწავლო განყოფილებას, ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს/მეთაურს. საჭიროებისამებრ მოეწყობა შეხვედრები წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შეხვედრებზე შესაძლებელია აკადემიური/ მოწვეული პერსონალის/მასწავლებლების/ინსტრუქტორების მოწვევა.

3.1.17. იუნკერთა/მსმენელთა აკადემიური მოსწრების ანალიზი/გამოცდების და ტესტების სირთულის ხარისხის დადგენა.

საგანმანათლებლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს იუნკერთა აკადემიური მოსწრება და ამ ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

- საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სირთულის ხარისხი;
- შეფასების გამოყენებული მეთოდების ადექვატურობა;
- იუნკერების/მსმენელების მომზადების დონე;
- გამოცდების და ტესტების სირთულის ხარისხი.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასება ყველა სასწავლო კურსში მთელი სემესტრის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. შედგება რა სხვადასხვა კომპონენტისგან, იუნკერთა/მსმენელთა მოსწრების უფრო ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა; დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე იუნკერის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც

საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. ECTS¹-ში შემუშავებულია იუნკერთა/მსმენელთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის განაწილებას (ნორმალურ განაწილებას). თუ სწორად არის განსაზღვრული პროგრამის/სასწავლო კურსის წინაპირობები, სირთულე, სწორად არის იგი დაგეგმილი და გამოყენებულია შეფასების ადექვატური ფორმები, იუნკერთა/მსმენელთა შეფასება იუნკერთა/მსმენელთა რანჟირების სკალასთან მიახლოებული იქნება: რანჟირების სკალის მიხედვით საუკეთესო იუნკერების /მსმენელების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10% (იხ. ნახაზი 1). რანჟირების სკალის მიხედვით, იუნკერთა/მსმენელთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – იუნკერთა/მსმენელთა შესაბამისად 10-10%-ს.

ნახაზი 1: კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) იუნკერთა რანჟირების სკალა

ცხადია, იუნკერთა/მსმენელთა რეალური გადანაწილება მოსწრების მიხედვით ყოველთვის ვერ დაემთხვევა რანჟირების მოცემულ სკალას. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე არსებულ განსხვავებებს, სხვადასხვა საგნების სპეციფიკას, იუნკერების/მსმენელების რაოდენობას, მათ მოტივაციას და მონდომებას, პედაგოგის მიერ გაწეულ ძალისხმევას, გარკვეული კორექტივები შეაქვს განაწილების ამ მოდელში. მაგრამ მიუხედავად ამისა, რანჟირების სკალა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ორიენტირი, რომელსაც უნდა შევადაროთ რეალური მონაცემები სასწავლო კურსის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებელთა/ ინსტრუქტორთა და იუნკერების/ მსმენელების შეფასების მიზნით.

¹ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემა

ასე მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ სასწავლო კურსში იუნკერთა/მსმენელთა ძირითადი მასა იღებს 91-ზე მეტ ქულას, მაშინ რამდენიმე ტიპის დასკვნის გაკეთება შეიძლება:

- ✓ იუნკერები/მსმენელები „გენიოსები“ არიან;
- ✓ პროგრამა ძალიან მარტივია;
- ✓ აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებელი/ინსტრუქტორი ძალიან ლიბერალურია იუნკერთა/მსმენელთა შეფასებისას ან შეფასების არაადეკვატურ ფორმებს იყენებს.

ასევე, თუ აღმოჩნდა, რომ სემესტრის განმავლობაში იუნკერების/მსმენელების უმრავლესობა ყველა სასწავლო კურსში იღებს მხოლოდ უმაღლეს შეფასებას, ეს ნიშნავს, რომ პროგრამა მარტივია და შესაძლებელია დაისვას საკითხი მისი გართულების შესახებ, ან საჭირო გახდეს სასწავლო კურსების გადანაწილება სემესტრში მათი სირთულის მიხედვით, რათა დაბალანსდეს იუნკერთა/მსმენელთა მიერ ასათვისებელი მასალა. პირიქით, თუ იუნკერთა/მსმენელთა შეფასება ყველა საგანში დაბალია, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამების შესაბამისი ადაპტირება, მათ შორის პროგრამებზე დაშვების წინაპირობების გადახედვა.

ასევე საყურადღებოა შეფასების სხვადასხვა საფეხურზე იუნკერების/მსმენელების შეფასების შედარება: მიმდინარე შეფასების შედეგების შედარება მომდევნო გამოცდის შედეგებთან. მაგალითად - 9 კვირის მიმდინარე შეფასების შედეგების შედარება შუალედური გამოცდის შედეგებთან და სრული მიმდინარე შეფასების შედეგების შედარება დასკვნითი გამოცდის შედეგებთან. შუალედური და დასკვნითი გამოცდები აჯამებს გამოცდამდე პერიოდში მიღებულ ცოდნას და უნდა ასახავდეს წინა პერიოდში იუნკერის/მსმენელის მიერ გაწეულ შრომას, სწავლის შედეგებს, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ ფასდება მიმდინარე შეფასებისას. რასაკვირველია, არსებობს იუნკერთა/მსმენელთა ნაწილი, რომელიც უფრო მეტს შრომობს გამოცდებისათვის მოსამზადებელ პერიოდში და გამოცდაზე უკეთეს ქულას იღებს, ვიდრე მიმდინარე შეფასებებში. ასევე არსებობს იუნკერთა/ მსმენელთა ნაწილი, რომლებიც ან ზარმაცობს ან გამოცდაზე სტრესული სიტუაციის გამო შედარებით უფრო დაბალ შედეგს იღებს მაგრამ, როდესაც ჯგუფში

მიმდინარე შეფასებებით დაფიქსირებულია A და B შეფასებების მაღალი პროცენტი და გამოცდაზე A შეფასება საერთოდ არ ფიქსირდება, ხოლო B შეფასების პროცენტი ძალიან დაბალია, ეს იძლევა სიგნალს, რომ პრობლემებია ან მიმდინარე შეფასებებში, ან საგამოცდო ტესტში.

აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავებისას ძალიან მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა: შეიძლება გაანალიზდეს იუნკერთა მოსწრება ერთი სასწავლო კურსისთვის, მაგრამ საერთო სურათისთვის აუცილებელია ერთი სემესტრის განმავლობაში იუნკრების/მსმენელების ერთი და იგივე ჯგუფის მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების შედარებითი ანალიზი ან ერთი და იგივე ტესტის/გამოცდის შედეგების შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ჯგუფების/ოცეულების მიხედვით.

ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების რეგულარული დამუშავება სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარების მიზნით, რათა ნათლად გამოჩნდეს პროგრამულ დონეზე ან სწავლებისა თუ შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი (ან მისი არ არსებობა). რეკომენდირებულია იუნკერთა/მსმენელთა მოსწრების ანალიზი რეგულარულად ტარდებოდეს ყოველი სემესტრის ბოლოს და მისი შედეგები მსჯელობის საგანი გახდეს.

აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით.

3.1.18. გამოცდების და ტესტების სტატისტიკური და ხარისხობრივი ანალიზი

მნიშვნელოვანია, რომ გამოცდებთან და ტესტებთან მიმართებით სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ ჩატარდეს სტატისტიკური და ხარისხობრივი ანალიზი.

სტატისტიკური ანალიზი

რეკომენდირებულია დაინერგოს მთლიანობაში, ასევე ტესტის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში საიმედოობის და სიზუსტის, უტყუარობის კონტროლი (სირთულის,

განსხვავების (უთანაბრობის Discrimination index) და ა.შ.)

ხარისხობრივი ანალიზი

ორაზროვნება, გაუმართავი შეკითხვები, არასწორი ინტერპრეტაცია, ტესტური შეკითხვის შემთხვევაში ერთზე მეტი სწორი პასუხის არსებობა.

გამოცდების და ტესტების სტატისტიკური და ხარისხობრივი ანალიზი შტაბის G3/G2 სამოქალაქოსამხედრო სასწავლო სამსახურის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელთათვის, მიმართულების/ პროგრამის ხელმძღვანელებისათვის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემდგომი დამუშავებისთვის. ამ ინფორმაციის მოწოდებასა და დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საპრეტენზიო კომისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასაც.

3.1.19. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შესაბამისობის დადგენა;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენას ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის და იუნკერებისთვის/ მსმენელებისთვის ხელმისაწვდომობის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად განახორციელებს ბიბლიოთეკის შემოწმებას. ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად და ელექტრონულ ფონდთან შედარდება ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სილაბუსის ძირითადი ლიტერატურა. შედარების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაუგზავნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამისი სამსახურები

ვალდებულები არიან უზრუნველყონ დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა.

- აკადემია ასევე უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას როგორც ადგილობრივი რესურსებით, ასევე გარე დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების საშუალებით, რათა მათი მომსახურების დონე იყოს სტანდარტების თანმხვედრი.
- შედარების შედეგების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია საჭირო გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის და იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

3.1.20. აკადემიაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მისი ადმინისტრირების ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდეს აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესს და უზრუნველყოფდეს მის ეფექტურ განხორციელებას. ასევე მნიშვნელოვანია გადამოწმდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა, უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა დაცვა და ხორციელდებოდეს საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ასევე მოწმდება თუ რამდენად ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა იუნკერების/მსმენელებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის/მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის.

3.1.21. აკადემიის ვებგვერდის მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება აკადემიის ვებგვერდის მუდმივი მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორ-

მაცია იყოს თანხვედრაში მოქმედ რეგულაციებთან და სტანდარტებთან. კერძოდ, ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებული იყოს საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის აკადემიის მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამაზე მიღების პირობები და სხვა.

ასევე მოწმდება ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლების რეგულარულობა და გონივრული ვადა.

3.1.22. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაბამისობის დადგენა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო წლის დაწყების წინ შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას, მდგომარეობას და მათ შესაბამისობას განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან.

შედარების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საჭირო გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის მიზნით.

3.1.23. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

პროგრამის დასრულების შემდეგ მისი შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

ბ) დამსაქმებელთა გამოკითხვა;

დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მისი დამსაქმებლის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს დადგენილი ფორმის შესაბამისად. კითხვარი იგზავნება კურსდამთავრე-

ბულებთან და დამსაქმებლებთან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებში ან/და სხვა შესაბამის სტრუქტურებში) მათი შევსების მიზნით. დასაქმებული კურსდამთავრებულის გამოკითხვის და კურსდამთავრებულის დამსაქმებლის ინტერვიუს შედეგები უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. (კურსდამთავრებულებთან/დამსაქმებლებთან აღნიშნული პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ ფორმატშიც).

3.1.24. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შეფასება

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შეფასება, ჩვეულებისამებრ ეხება კვლევითი გრანტების მოპოვებას და მათ წარმატებით განხორციელებას, კვლევების გავრცელებასა და გამოქვეყნებას, იუნკერთა/მსმენელთა ნაშრომების/პროექტების წარმატებულ სუპერვიზირებას.

კვლევაში აქტიური მონაწილეობა და კვლევის შედეგების გამოქვეყნება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. იუნკერთა ნაშრომების/პროექტების სუპერვიზია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის თანმხლები პროცესია. გარდა ამისა, სწავლებისას აკადემიური/მოწვეული პერსონალი ინტენსიურად უნდა იყენებდეს საკუთარი და ამავე სფეროში მოღვაწე სხვა მკვლევარების კვლევის შედეგებს.

აკადემია არ ზღუდავს და არ ერევა აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევით საქმიანობაში, მაგრამ ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია მათი მიღწევების, კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი მეორე სემესტრის ბოლოს, დასკვნითი გამოცდის შედეგების მიწოდების შემდეგ ავსებს დადგენილ თვითშეფასების ფორმას, რომელიც შესაბამისია აკადე-

მიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის დებულებასთან.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმებს ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საჭირო გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

3.1.25. მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის შეფასება

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების, ინსტრუქტორების საქმიანობის შეფასება ხდება აკადემიის ხელმძღვანელი რგოლის მიერ.
- შეფასება აკადემიური პროგრამების შემთხვევაში ხორციელდება სემესტრულად დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების და ანალიზის შემდეგ. სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კომპლექსური გამოცდის შედეგების და ანალიზის შემდეგ.
- ბაკალავრიატის/მაგისტრატურის მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორის შეფასებას ახორციელებს გაწერილი კრიტერიუმებით და ფორმით.
- შეფასების შედეგები იქნება აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის/ინსტრუქტორისთვის მაღლობის გამოცხადების, სიგელზე წარდგენის საფუძველი.

3.2. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

- განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- **ავტორიზაცია** არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.
- **აკრედიტაცია** არის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე რეგულირებადი (იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური) და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამხედრო კომპონენტების შინაარსის და ეფექტურობის ანალიზს ახორციელებს გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი, რომელიც შეიმუშავებს სამხედრო განათლების გეგმებს, გვარეობების მიხედვით განსაზღვრავს სამხედრო საგანმანათლებლო სტანდარტებს, განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ წესებთან თავსებადობას. თავდაცვის ძალების ამოცანებიდან გამომდინარე შეიმუშავებს საბრძოლო მომზადების დაგეგმვის სტრატეგიასა და საორგანიზაციო მეთოდურ მითითებას; თავისი

კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სწავლებების დაგეგმვაში, კოორდინაციას და მონიტორინგს;

4. ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი პრინციპები

მთავარი პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს:

1. განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება;
2. დაინტერესებულ პირთა ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სისტემაში;
3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
4. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების სანდოობისთვის დაინტერესებულ მხარეებთან განხილული და შეთანხმებული მექანიზმების და კრიტერიუმების გამოყენება (ხარისხის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს ობიექტურად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული და ცნობილი მექანიზმების და კრიტერიუმების მიხედვით);
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელთარსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სწორი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება; (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აცნობს დაინტერესებულ პირებს კვლევის/მონიტორინგის შედეგებს, რეკომენდაციებს. უნდა მოხდეს მათი განხილვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, რათა რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს სრულყოფილ ინფორმაციას და გათვალისწინებული იყოს რესპოდენტების და შესაფასებელი მხარის ინფორმაცია და პოზიციები).

6. ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზის გამოსასწორებლად შესაბამისი ზომების მიღება, გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების სამოქმედო გეგმებში ასახვა და მათი შესრულება. (შეფასების შედეგები უნდა მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც ვალდებულია მოახდინოს რეაგირება).

5. იუნკერებზე/მსმენელებზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება

1. იუნკერებზე/მსმენელებზე ორიენტირებული მიდგომა (ან სისტემა) ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, რომელიც ორიენტირებულია იუნკერთა/მსმენელთა მიღწევებზე, სხვადასხვა სასწავლო პრიორიტეტსა და რაციონალურ სასწავლო დატვირთვაზე.

2. აკადემიაში დანერგილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემა ECTS, რომელიც არის სწავლის შედეგებსა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის, იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული სისტემა. იგი ასახავს აკადემიურ დატვირთვას, რომელიც იუნკერს/მსმენელს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად.

- იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს იუნკერის/მსმენელის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესის განვითარებაში, მის შინაარსსა და შეფასებაში.
- აქტიური სწავლების სტილი, პირველ რიგში, უნდა აისახოს სწავლების, შეფასების მეთოდებსა და პედაგოგის მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებზე.
- პროგრამისა და მოდულის აღწერისას სწავლის შედეგების გამოყენება იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის მკაფიოს ხდის იმას, თუ რისი მიღწევის მოლოდინი უნდა ქონდეთ მათ პროგრამის ან მოდულის დასრულების შემდეგ. ეს იუნკერებს/მსმენელებს ასევე ეხმარება პროგრამის შერჩევასა და იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებულ სწავლაში აქტიურ მონაწილეობაში.

- სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მრავალი კვლევით დადასტურებულ მნიშვნელოვან სასწავლო პრინციპს იუნკერები/მსმენელები სწავლობენ უკეთესად, როდესაც ისინი აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. იუნკერ-ზე/მსმენელზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს და აღიარებს იუნკერის/მსმენელის ინიციატივას, ახალისებს შეკითხვებს იუნკერების/მსმენელების მხრიდან, აღიარებს გამოცდილების გადამწყვეტ როლს სწავლაში, ხელს უწყობს იუნკერის/მსმენელის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, ითვალისწინებს იუნკერის/მსმენელის გონებრივ მოდელს, შეფასების პროცესში ხაზს უსვამს შესრულებას და გაცნობიერებას, ახალი ცოდნის განვითარების და გააზრების საშუალებას.

სასწავლო პროცესში სალექციო სწავლებისა და აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება და მონაცვლეობა და სწავლების მეთოდების კომბინირება ზრდის სწავლების ეფექტურობას და მიღებული ინფორმაციის ეფექტურ დამახსოვრებას უზრუნველყოფს. აქტიურ სწავლებაში იგულისხმება სწავლების ინტერაქტიული ფორმა, როდესაც იუნკერები/მსმენელები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში, ეძლევათ სხვადასხვა სახის დავალებები (გარკვეული ამოცანები, სავარჯიშოები და სხვ. მონაწილეობენ დისკუსიაში, დებატებში, სემინარებში, აწყობენ პრეზენტაციებს, ბრიფინგებს და ა.შ.) იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მოისმინეს ლექციის დროს. აქტიური სწავლების მეთოდები ხელს უწყობს ახალი მასალის უფრო ეფექტურ ათვისებას და ძველი მასალის განმტკიცებას, რადგანაც იუნკერებს/მსმენელებს უხდებათ იქვე, აუდიტორიაში მიღებული ინფორმაციით აქტიური ოპერირება, გარდა ამისა, პედაგოგს ეძლევა საშუალება მეცადინეობაზევე აკონტროლოს მასალის ათვისების ხარისხი და დროულად გამოავლინოს არსებული პრობლემები.

- იუნკერების/მსმენელების შეფასება: იუნკერების/მსმენელების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს წინასწარ ცნობილი კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აცნობიერებს რა პედაგოგის მნიშვნელოვან როლს იუნკერის/მსმენელის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში, აკადემია იზიარებს ეფექტური მასწავლებლის მახასიათებლებს M. Hildebrand, 1971² - ის სქემის მიხედვით:

ორგანიზაცია და სიცხადე

- ხსნის მკაფიოდ;
- არის კარგად მომზადებული;
- რთულ მასალას ადვილად გასაგებს ხდის;
- იყენებს მაგალითებს, ანალოგიებს, შედარებებს და ახსნის სხვადასხვა მეთოდს, რომ მასალა არა მხოლოდ გასაგები, ასევე დასამახსოვრებელი გახდეს;
- სასწავლო კურსის და თითოეული მეცადინეობის მიზანს მკაფიოდ და გასაგებს ხდის;
- ამზადებს დამხმარე მასალას.

ანალიტიკურ /სინთეზური მიდგომა

- აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა;
- შეუძლია სხვადასხვა თეორიების და მათი შედეგების შედარება;
- იუნკერს/მსმენელს უყალიბებს დარგის შეგრძნებას, აცნობს მის წარსულ, თანამედროვე და მომავალ მიმართულებებს, იდეებისა და კონცეფციების წარმოშობის სათავეებს;
- აკავშირებს მომიჯნავე დარგებთან, წარმოადგენს ფაქტებს და კონცეფციებს;
- განიხილავს სხვადასხვა შეხედულებებს.

დინამიკა და ენთუზიაზმი

- არის ენერგიული, დინამიური პიროვნება;
- ჩანს, რომ სიამოვნებს სწავლება;

² M. Hildebrand, R.C. Wilson, and E.R. Dienst, Evaluating University Teaching. (Berkeley: UC Berkeley, Center for Research and Development in Higher Education, 1971)

- იუნკერებს/მსმენელებს გადასცემს დარგის/სფეროს სიყვარულს;
- არის კომპეტენტური.

პედაგოგი-ჯგუფის ურთიერთმოქმედება

- შეუძლია მართოს, სტიმული მისცეს და ურთიერთობა დაამყაროს აუდიტორისთან;
- ხელს უწყობს დამოუკიდებელ აზროვნებას და იღებს კრიტიკას;
- ეფექტურად იყენებს მახვილსიტყვაობას და იუმორს;
- არის კარგი კომუნიკატორი;
- იცის მოპყვება თუ არა კლასი მასალას და გრძნობს იუნკერების/მსმენელების მოტივაციას;
- ზრუნავს სწავლების ხარისხზე.

პედაგოგი-იუნკერი/მსმენელი ურთიერთმოქმედება

- იუნკერის/მსმენელისგან აღქმულია როგორც სამართლიანი, განსაკუთრებით მისი შეფასების მეთოდები;
- იუნკერის/მსმენელისთვის არის ხელმისაწვდომი და ღირებული წყარო რჩევების მისაღებად იმ საკითხებზეც კი, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული კურსთან.

6. ინფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ინფორმაციის ღიაობისა და გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ელექტრონული სწავლების პლატფორმა ILIAS -ში გახსნილ საქაღალდეში, განათავსებს ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მარეგულირებელ დოკუმენტს, კვლევების/ მონიტორინგის შედეგებს, ანალიზს, რეკომენდაციებს (კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით).

7. აკადემიური თავისუფლება

7. 1. აკადემიური პატიოსნების დაცვა და თავისუფლების უზრუნველყოფა

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური პატიოსნების დაცვა და თავისუფლების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პრინციპია.

აკადემიის აკადემიური საზოგადოების თითოეულ წევრს (აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს/ინსტრუქტორებს/იუნკერებს/მსმენელებს/ხელმძღვანელ რგოლს) საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ჩართული იყვნენ აკადემიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. გარდა იმისა, რომ მათ აქვთ მოვალეობები და ვალდებულებები, ისინი უზრუნველყოფილნი და დაცულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი სახის შეუწყნარებლობის (არატოლერანტულობის) და დისკრიმინაციისგან.

იუნკერი/მსმენელი/აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებელი/ინსტრუქტორი და სხვ. რომელიც ჩივის ან უარყოფით კომენტარს წერს, არ უნდა დაისაჯოს. ყველას აქვს უფლება გამოთქვას პრეტენზიები/საკუთარი აზრი სწავლების პროცესსა და/ან მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.

უკმაყოფილების შემთხვევაში იუნკერი/მსმენელი თავდაპირველად თავად პედაგოგს უნდა მიმართავდეს. თუ პრეტენზიის ეს ფორმა წარუმატებელი აღმოჩნდება, საკითხი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/სკოლის ხელმძღვანელის/ მეთაურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების ყურადღების არეალში უნდა მოხვდეს.

ინფორმაციის მიწოდება ბაკალავრიატის/ მაგისტრატურის /სკოლის ხელმძღვანელის/მეთაურის თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს როგორც პირადად, ასევე ელექტრონულად ან ტელეფონის მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა მითითებული იქნება ILIAS-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქალაქო დეპარტამენტში

7.2. აკადემიური თავისუფლების გარანტიები

ეროვნული თავდაცვის აკადემია აღიარებს და უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების და ინსტრუქტორების, იუნკერების და მსმენელების და ადმინისტრაციის წევრების აკადემიურ თავისუფლებას. იგი იზიარებს და მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესაბამისად:

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება;
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის შესაბამისად:

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია;
2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია;
3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკადემიური თავისუფლება არის აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და იუნკერთა/მსმენელთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა (მუხლი 2 გ). ამავე კანონის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და იუნკერთა/მსმენელთა

აკადემიურ თავისუფლებას და კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას.

აკადემიური პერსონალის უფლებებთან დაკავშირებით კანონი ცალკე განამტკიცებს დებულებას, რომლის შესაბამისად „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისთვის შესაბამის პირობებს“. (მუხლი 37.3)

ასევე, მუხლი 37-ის თანახმად, აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

კანონი ადგენს, რომ აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სამეცნიერო კვლევის თავისუფლებასთან დაკავშირებით—საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში;
- ბ) სწავლების თავისუფლებასთან დაკავშირებით—სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;
- გ) სწავლის თავისუფლებასთან დაკავშირებით—სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

8. აკადემიური კეთილსინდისიერება და აკადემიური არაკეთილსინდისიერება

აკადემიური კეთილსინდისიერება ეფუძნება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს როგორიცაა პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და პასუხისმგებლობა. აკადემიური კეთილსინდისიერება აკადემიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია აკადემიის აკადემიური საზოგადოებისთვის და მისი ყველა წევრი უნდა მოქმედებდეს ამ პრინციპის შესაბამისად. აკადემიის ეთიკის კოდექსისა და სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევის რეგულირების მექანიზმების თანახმად, აკადემიაში უზრუნველყოფილი არის პერსონალის და იუნკერების/მსმენელების ეფექტური თანამშრომლობა, იუნკერთა/მსმენელთა პატრიოტული, ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა; იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული სამხედრო და სამოქალაქო სწავლება, სრულყოფილი უმაღლესი განათლების მქონე ლიდერების აღზრდა, იუნკერების/მსმენელების კონკურენტუნარიანი და წარმატებული კარიერული წინსვლა. ყველა იუნკერს/მსმენელს სწავლასთან ერთად მოეთხოვება აკადემიური ღირსებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა.

აკადემიის საზოგადოების ყველა წევრი პატივს უნდა სცემდეს საზოგადოების სხვა წევრის ღირსების და უფლებებისა და საკუთრების უფლებას და ხელს უწყობდეს რომ, შექმნილი და შენარჩუნებული იყოს გარემო, რომელშიც ყველას შეუძლია მიაღწიოს წარმატებას გაწეული საკუთარი შრომისა და მეცადინეობის შედეგად. აკადემიური კეთილსინდისიერება გულისხმობს აკადემიის საზოგადოების ყველა წევრის ვალდებულებას არ ჩაერთონ და არ დაუშვან ფალსიფიკაციის, შეცდომაში შეყვანისა ან მოტყუების აქტები.

იუნკერების/მსმენელების უფლებების დასაცავად, ნდობის მოსაპოვებლად და შესაბამისი ქცევის წესების დასამკვიდრებლად აკადემიური და ხელმძღვანელი რგოლი მუდმივად უნდა ამკვიდრებდეს აკადემიური კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარ-

ტებს და თავის მხრივ დგამდეს გონივრულ ნაბიჯებს, რათა განსაზღვროს და აღკვეთოს არაკეთილსინდისიერების ნებისმიერი გამოვლინება.

აკადემიაში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები რეგულირდება დოკუმენტით: „სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევა რეგულირების მექანიზმები“

ამ მიმართულებით აკადემიაში განხორციელდა პროექტი Erasmus+ ფარგლებში პროგრამა „INTEGRITY“, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები (2017-2020წ.წ.)

- PR კამპანია - ჩატარდა PR კამპანია პლაგიატიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის და ერთობლივი აქტივობები. გაშუქდა პროექტის დისემინაციის ღონისძიებები და მომზადდა ვებ-გვერდი ასატვირთი მასალები.
- განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება - მოხდა საჭიროებების იდენტიფიცირება მასწავლებელთა გადამზადების კუთხით, მომზადდა ტრენინგები.
- იუნკერთა/მსმენელთა ტექნიკური სერვისები - იუნკერებისთვის ტექნიკური სერვისების გამართვა/აწყობაში ინსტიტუციის ჩართულობა, კონსორციუმის ერთობლივი აქტივობების შემუშავება.
- აკადემიური წერის მიმართულება - აკადემიური წერის კურიკულუმის და სწავლების მეთოდების შემუშავება/გადახედვა. შემდგომში მონიტორინგი გაუწიოს ამ მიმართულებით ინსტიტუციურად მიმდინარე შიდა აქტივობებს (in house trainings), რათა მოხდეს პროექტის მიზნებთან თანხვედრა.
- საუნივერსიტეტო პოლიტიკა და რესურსები - შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შემუშავება და საერთო პოლიტიკა პლაგიატიზმის დეტექციის და პრევენციის მიმართულებით.

9. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

ფორსმაჟორის/პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო პროცესი და მისი მონიტორინგი ხორციელდება აკადემიაში დადგენილი წესის შესაბამისად.

ელექტრონული სწავლების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „რჩევები ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით“ და ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული დოკუმენტით „მოსაზრებები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად“.

10. დისტანციური განათლების დროს აკადემიაში ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- დისტანციური სწავლების³ შემთხვევაში ზუსტად ისევე ხდება სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, როგორც პირისპირ სწავლების დროს;
- შემუშავებულია დისტანციური სწავლების ფორმის სასწავლო პროცესში დანერგვისა და გამოყენების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის დაგეგმვის, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების, ასევე, მატერიალური რესურსების (საბიბლიოთეკო, საინფორმაციო), სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- დისტანციური სწავლებისას უზრუნველყოფილია იუნკერების/მსმენელების აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, როგორც სალექციო ასევე სასემინარო მუშაობების დროს.
- სასწავლო კურსების დისტანციურ რეჟიმში წარმართვისას მთავარი გამოწვევაა საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო კურსებით/მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველ-

³ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლექციები/სემინარები ხორციელდება დისტანციურად, ამისათვის იუნკერებს/მსმენელებს არ ჰქირდებათ მისვლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში. დისტანციური განათლების სასწავლო კურსების განხორციელება ხდება ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ვიდეო/აუდიო კონფერენციები და ინტერნეტზე ან ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული საშუალებები.

ყოფა. აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, მასწავლებლებმა და ინსტრუქტორებმა ზუსტად იციან სწავლის რა შედეგები უნდა იყოს მიღწეული იუნკერების/ მსმენელების მიერ დისტანციური სწავლების დროს, რათა საბოლოოდ მიღწეული იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;

- აკადემია ითვალისწინებს, რომ ყველა იუნკერს/მსმენელს და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, მასწავლებელს და ინსტრუქტორს შესაძლოა არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან ან შეზღუდული ქონდეთ სწავლისათვის შესაბამისი სივრცე სახლებში;
- აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია იუნკერების/ მსმენელების სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო რესურსებისა და IT რესურსებით უზრუნველყოფაზე.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის, მასწავლებლებისთვის და ინსტრუქტორებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეთავაზებულია სისტემური ტრეინინგები დისტანციური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.
- საველე გასვლების/პრაქტიკულ სწავლების შემთხვევაში აკადემიაში მინიმუმამდეა დაყვანილი მდგომარეობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები;
- აკადემიაში უზრუნველყოფილია კომუნიკაცია იუნკერებთან/მსმენელებთან განხორციელებულ ცვლილებებზე, ისინი ინფორმირებულნი არიან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლით გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე.
- აკადემიას IT ინფრასტრუქტურა და IT სისტემები უზრუნველყოფს იუნკერების/მსმენელების სწავლებას დისტანციურ რეჟიმში.
- იუნკერთა/მსმენელთა შეფასება ხორციელდება აკადემიაში დადგენილი წესის შესაბამისად.
- შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც აკადემიაში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმით ILIAS, ასევე

- ჯგუფური მუშაობის მხარდაჭერის ელექტრონული პლატფორმებით.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მასწავლებელი და ინსტრუქტორი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი კომუნიკაციის პლატფორმა იუნკერთა/მსმენელთა ინტერესების გათვალისწინებით. ინდივიდუალური უკუკავშირის გარდა, იუნკერების/მსმენელების შეფასებებთან დაკავშირებული უკუკავშირის მისაწოდებლად დისტანციურ რეჟიმში, აკადემიურ /მოწვეულ პერსონალს/ მასწავლებლებს/ინსტრუქტორებს შეუძლიათ ჩაწერონ ვიდეო იუნკერების/ მსმენელების მთლიანი ჯგუფის მიერ შესრულებულ ნაშრომებში გამოკვეთილი ძლიერი და განსავითარებელი მხარეების შესახებ და გაუზიარონ მათ.
 - თუ დისტანციური სწავლება ვერ ხორციელდება, აკადემიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოხდება იუნკერების/მსმენელების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის და ინსტრუქტორის დატვირთვის შეფასება და ამის საფუძველზე გეგმის შემუშავება.
 - პრაქტიკული კურსების განხორციელება, რომელთათვისაც დისტანციური სწავლების ფორმატი შეუსაბამოა, რეკომენდებულია გადაიდოს საფრთხის აღმოფხვრამდე.⁴
 - აკადემიაში უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო ეფუძნება და დოკუმენტში გამოყენებულია ჩანართები შემდეგი დოკუმენტებიდან:

⁴ შერეული / ჰიბრიდული სასწავლო კურსები. ეს არის სასწავლო კურსები, რომლებიც აგებულია ისე, რომ მოიცავს, როგორც ონ-ლაინ ასევე „პირისპირ“ (ე.წ. face-to-face) სწავლების მეთოდების კომბინაციას.

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;
4. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011;
5. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და ინსტრუქცია (ESG) , 2015;
6. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და დიპლომის დანართი, განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატი, 2005;
7. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), ევროკომისია, 2009;
8. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში. უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში, თუნიგის პროექტი, 2008;
9. თამარ ბრეგვაძე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009;
10. ბარი ს. პარსონსონი, ხარისხის უზრუნველყოფა სასწავლო კათედრებზე;

11. თამარ ზაალიშვილი, უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013 ;

12. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო, თავისუფლების ინსტიტუტი 2007;

13. დავით თინიკაშვილი, შეფასების თავისებურებები ფინეთის სასკოლო განათლებაში, www.internetgazeti.ge, 2013;

14. რჩევები ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით <https://eqe.ge/geo/news/show/53/2949> ;

გაზიარებულია შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოები და პროცედურები;

15. Pennsylvania state University <http://www.psu.edu/> ;

16. Stanford University <http://www.stanford.edu/> <https://teachingcommons.stanford.edu/>;

17. University of Virginia www.virginia.edu ;

18. University of Greenwich <http://www2.gre.ac.uk/> ;